# Covid-19-ის მონიტორი: საზოგადოებრივი აზრი Covid 19-ის შესახებ საქართველოში

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

Kingdom of the Netherlands

23 ივლისი, 2020.

# ᲒᲔᲒᲛᲐ

- მეთოდოლოგია
- შედეგები
  - დამოკიდებულებები
  - ქცევა
  - კეთილდღეობა
  - მოლოდინები
- კითხვებისა და პასუხების სესია

# მეთოდოლოგია

- მონაცემები შეგროვდა მობილური ტელეფონის ნომრების შემთხვევითი აკრეფის მეთოდის გამოყენებით; ინტერვიუები ჩატარდა ქართულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და რუსულად.

- მონაცემები შეწონილია 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების სქესის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილების, განათლებისა და საცხოვრებელი ადგილის ტიპის გათვალისწინებით.

| ტალღა | გამოკითხვის ჩატარების თარიღი | შერჩევის ზომა | ცდომილება | გამოპასუხება |
|---|---|---|---|---|
| 1 | აპრილი 29 - მაისი 3 | 992 | 3.1% | 42.1% |
| 2 | მაისი 7 - მაისი 10 | 1037 | 3.0% | 40.5% |
| 3 | მაისი 14 - მაისი 17 | 1053 | 3.0% | 38.6% |
| 4 | მაისი 21 - მაისი 23 | 1002 | 3.1% | 38.8% |
| 5 | მაისი 28 - მაისი 31 | 1036 | 3.0% | 35.1% |
| 6 | ივნისი 4 - ივნისი 6 | 1095 | 3.0% | 37.0% |

# დამოკიდებულებები

# ინსტიტუციური საქმიანობის შეფასება კარგად და ძალიან კარგად გამოკითხვის ტალღის მიხედვით (%)

კვლევის ფარგლებში განხილული ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის საქმიანობის დადებითად შეფასება მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით.

მართალია ეკლესიის საქმიანობის დადებითად შეფასება გაიზარდა, თუმცა სხვა ინსტიტუტებთან შედარებით ეს ზრდა მცირე იყო.



# ინსტიტუციური საქმიანობის შეფასება კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში კარგად და ძალიან კარგად გამოკითხვის ტალღის მიხედვით (%)




კორონავირუსის წინააღმდეგ გატარებული საქმიანობის დადებითად შეფასება აგრეთვე მაღალი იყო ყველა ინსტიტუტის შემთხვევაში.

# ინსტიტუტების მიმართ ნდობა (კავკასიის ბარომეტრი 2019 და COVID-19 მონიტორის პირველი ტალღა) (%)




მსგავსი სურათი გამოიკვეთა ინსტიტუტების მიმართ ნდობის კუთხითაც; გამონაკლისია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის მიმართ ნდობაც მაისის დასაწყისში მცირედით შემცირდა.

## სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, ტალღა 1 (%)

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



## სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, ტალღა 2 (%)

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



## სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, ტალღა 3 (%)

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



# სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, ტალღა 4 (%)

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



## სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა, ტალღა 5 (%)

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის მიმდინარეობისას ძალიან მაღალი იყო.

ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილ ღონისძიებათა შორის იყო:



# ეკონომიკის ამუშავება vs დაველოდოთ ვირუსის ჩაცხრომას (%)




მოქალაქეები თვლიდნენ, რომ უმჯობესია ეკონომიკის ამუშავება, ვიდრე ვირუსის ჩაცხრომის ლოდინი. კრიზისის მიმდინარეობისას ამ მოსაზრებას უფრო და უფრო მეტი ადამიანი ეთანხმებოდა.

აღნიშნული განწყობები უფრო შესამჩნევი იყო თბილისში, ვიდრე სხვა დასახლებულ პუნქტებში

CRRC

# გთხოვთ მითხრათ, თქვენი აზრით, სწორია თუ არასწორია შემდეგი დებულებები: (%)

ეპიდემიის მიმდინარეობისას გავრცელებული იყო არასწორი და ცრუ ინფორმაცია, აგრეთვე, იყო გაურკვევლობა ზოგიერთი მცდარი მოსაზრების შესახებ.

ამასთანავე, ადამიანების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ, კრიზისის მიმდინარეობის დროს, მათ ჰქონდათ გარკვეული შეხება მცდარ ინფორმაციასთან.



# აცრებთან დაკავშირებული დამოკიდებულებები (%)

ვაქცინაციის შესახებ საქართველოში მცდარი შეხედულებები არის გავრცელებული



საზოგადოების მხოლოდ 42%-ს სურს გაიკეთოს Covid 19-ის საწინააღმდეგო აცრა, თუ იგი ხელმისაწვდომი იქნება მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

გაურკვევლობა და მცდარი ინფორმაციის რწმენა ძლიერ კორელაციაშია მომდევნო 6 თვის განმავლობაში აცრის გაკეთების სურვილთან

## აცრის გაკეთების ნაწინასწარმეტყველები ალბათობა აცრის მიმართ დამოკიდებულების ინდექსის მიხედვით (%)



იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესად მიაჩნია გაიზარდა. აგრეთვე გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყანად მიიჩნევს.

ამასთანავე, დემოკრატიის მხარდაჭერა არ არის დაკავშირებული მმართველობის დემოკრატიული ფორმების მხარდაჭერასთან.



ქცევა

კრიზისის მიმდინარეობის დროს ადამიანები უფრო და უფრო ხშირად ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს სხვებთან ურთიერთობის მიზნით.

მამაკაცები და ახალგაზრდები საგანგებო მდგომარეობის დროს სტატისტიკურად უფრო ხშირად გადიოდნენ გარეთ, ვიდრე სხვა სოციო-დემოგრაფიული ჯგუფების წარმომადგენლები.

## სოციალიზაციის სხვადასხვა დონეები საქართველოში (%)




| | კაცი | ქალი | 18-34 | 35-54 | 55+ | განათლების დაბალი დონე | უმაღლესი განათლება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 აპრილი - 3 მაისი | 27 | 13 | 29 | 18 | 13 | 19 | 22 |
| 7 მაისი - 10 მაისი | 30 | 19 | 30 | 25 | 17 | 23 | 26 |
| 14 მაისი - 17 მაისი | 39 | 27 | 41 | 34 | 24 | 32 | 35 |
| 21 მაისი - 23 მაისი | 45 | 27 | 44 | 38 | 24 | 32 | 41 |
| 28 მაისი - 31 მაისი | 55 | 38 | 52 | 49 | 36 | 42 | 52 |
| 4 ივნისი - 6 ივნისი | 70 | 48 | 70 | 64 | 41 | 56 | 63 |

# ზიარების დროს საერთო კოვზის გამოყენებისადმი დამოკიდებულება და სააღდგომო წირვაზე დასწრება (%)

სააღდგომო წირვაზე დასწრების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 91%-ით შემცირდა;

მართლმადიდებელი ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმებოდა საერთო კოვზის გამოყენებას ზიარების დროს



# კეთილდღეობა

შინამეურნეობების საშუალო და მედიანური შემოსავალი კრიზისის დროს განახევრდა

შინამეურნეობათა წილი, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ საერთოდ არ აქვთ შემოსავალი კრიზისამდელი 0.5%-იდან 10%-მდე გაიზარდა აპრილში, ხოლო მაისში - 14%-მდე

28%-მა განაცხადა, რომ დაკარგა სამუშაო კრიზისის მიმდინარეობისას. მათგან ნახევარზე მეტმა კვლავ დაიწყო მუშაობა.



# საკვების უსაფრთხოება კრიზისის დროს გაუარესდა, როგორც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მასშტაბით, აგრეთვე ინტენსივობით

**რამდენად ხშირად არ გქონდათ საკმარისი თანხა თქვენთვის ან თქვენი ოჯახისთვის საჭირო საკვების შესაძენად? (%)**




**თუ ვისაუბრებთ მარტის თვემდე არსებულ სიტუაციაზე, რამდენად ხშირად არ გქონდათ საკმარისი თანხა თქვენთვის ან თქვენი ოჯახისთვის საჭირო საკვების შესაძენად? (%)**



# ფინანსებთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წუხილი (%)

ფინანსებთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე წუხილი საზოგადოების უმრავლესობისთვის იყო დამახასიათებელი



# მოლოდინები

# მომხმარებელთა ნდობა (%)

მონაცემები მომხმარებელთა ნდობის შესახებ შინამეურნეობებში გაუარესებულ პირობებზე მიუთითებს, თუმცა, მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით ოდნავ გაუმჯობესებული მდგომარეობა შეინიშნება.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებები პესიმისტური ან გაურკვეველია.



## რეგულაციების მხარდაჭერა კრიზისის დროს და ჰიპოთეტური მეორე კრიზისის შემთხვევაში (%)

კორონავირუსის გავრცელების მეორე ტალღის შემთხვევაში ადამიანები უფრო ნაკლებად დაუჭერენ მხარს სხვადასხვა რეგულაციას.

მოქალაქეების მხოლოდ მცირე ნაწილი ელოდება კორონავირუსის გავრცელების მომდევნო ტალღას



# ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

# დამოკიდებულებები

- ინსტიტუტების საქმიანობისა და ნდობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიზისის დროს;
- ადამიანების უმრავლესობას ვირუსთან დაკავშირებულ ცრუ ინფორმაციასთან ჰქონია შეხება;
- მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (თუმცა არა უმრავლესობას) ან სჯერა სხვადასხვა მცდარი ინფორმაციისა ვირუსის შესახებ ან არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი მათთან მიმართებით;
- მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების მხარდაჭერა კრიზისის დროს მაღალი იყო;
- ადამიანები ეკონომიკის ამუშავებას უფრო ემხრობიან, ვიდრე ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენას;
- საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა აცრების მიმართ არსებული დამოკიდებულება;

# ქცევა

- კრიზისის დროს, მამაკაცებსა და ახალგაზრდებს უფრო მეტი ალბათობით ჰქონდათ სხვებთან ურთიერთობა, იმის მიუხედავად, რომ ძალაში იყო სოციალური დისტანციის რეკომენდაციები;

- საზოგადოების მხოლოდ 4% დაესწრო სააღდგომო წირვას და მართლმადიდებელი ქრისტიანების უფრო მეტი წილი არ ემხრობოდა, ვიდრე ემხრობოდა ზიარების დროს საერთო კოვზის გამოყენებას;

# კეთილდღეობა

- შინამეურნეობების შემოსავალი კრიზისის დროს განახევრდა;
- შინამეურნეობების რიცხვი, რომლებიც აცხადებენ რომ საერთოდ არ აქვთ შემოსავალი კრიზისის დროს გაათმაგდა;
- კრიზისის დროს საზოგადოების უმრავლესობას შეეხო საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- წუხილი ფინანსური და ეპიდემიოლოგიური საკითხების შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული;

# მოლოდინები

- სამომხმარებლო ნდობის მაჩვენებელი დაბალია;
- საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი მოელის Covid 19-ის განმეორებით გავრცელებას საქართველოში;
- კორონავირუსის მეორე ტალღის განმეორების შემთხვევაში მრავალი ღონისძიებისა და რეგულაციის მხარდაჭერა, რომელიც მთავრობამ კრიზისის დროს განახორციელა, არ იქნება ისეთივე მძლავრი.

## მადლობა დათმობილი დროისთვის. კითხვები?

# საქართველოში ჩვენ ვითვლ(ებ)ით

CRRC საქართველო

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

dustin@crrccenters.org
rati@crrccenters.org
crrc.ge
caucasusbarometer.org